ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დანართი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ქიაჩი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:

- [x] დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა
- [x] საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა
- [x] საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა
- [ ] პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- [ ] მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- [ ] მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ლია გრიგოლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: ნატო გაბოშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

II. დაწესებულების მისია

სკოლის მისიაა „მოსწავლეებს შესძინოს დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეებისათვის საჭირო უნარ–ჩვევები; აღზარდოს ისინი ეროვნულ და მსოფლიო ფასეულობებზე, რათა ისინი იყვნენ ღია და გახსნილები საზოგადოებისათვის, ფიზიკურად და გონებრივად ჯანსაღნი, დამოუკიდებელი, შემოქმედებითი პიროვნებები,შეიძინონ თანამედროვე საზოგადოებაში დაუბრკოლებელი ინტეგრაციისათვის საჭირო უნარ–ჩვევები."

ამოცანები

- განავითაროს მოსწავლეებში ლოგიკური აზროვნების, ანალიზის და მსჯელობის უნარი, იზრუნოს მათ წიგნიერებაზე, დაწყებით საფეხურზე კითხვის უნარებისა და საკომუნიკაციო უნარების განვითარებაზე;
- გააანალიზოს განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებები და რეფორმის კვალდაკვალ სწავლისა და სწავლების პროცესის სრულყოფის მიზნით, განაახლოს სასწავლო სტრატეგიები. მუდმივად იზრუნოს გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის;
- უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა და მათი მუდმივი განვითარების ხელშეწყობა ;
- დაეხმაროს მოსწავლეებს ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, ანალიზის, მსჯელობის უნარის და კრიტიკული აზროვნების განვითარებაში. ჩართოს ისინი სხავდასხვა სახის პროექტებში, ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- საგანმანათლებლო პროცესის სწორად წარმართვისათვის, უზრუნველყოს სკოლა შესაბამისი მატერიალური ბაზით, შექმნას მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემო;
- შექმნას სათანადო პირობები მოსწავლეთა გონებრივი ფიზიკური და სულიერი მიდრეკილებების და უნარ-ჩვევების გამოსავლენად და გასავითარებლად;
- აღზარდოს ჯანსაღი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისმქონე მოქალაქე, იზრუნოს მოსწავლეების პიროვნების მორალურ და ესთეტიკურ განვითარებაზე, მოქალაქეობრივ, პატრიოტულ, ეკოლოგიურ ცნობიერებაზე.

III. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

შეფასება:

შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ქიაჩი“ წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო კერძო სასწავლო დაწესებულებას. სკოლას შემუშავებული აქვს 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2017 წლის 30 ივნისის პედსაბჭოს სხდომის N 4 ოქმით. ადგილზე წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა განსხვავდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი ვერსიისაგან, კერძოდ, განსხვავებულია სკოლის საათობრივი ბადე.

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:

- სკოლის მისია
- სასწავლო კალენდარი
- სადამრიგებლო პროგრამა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- საგნობრივი ჯგუფები, მიზნები და ამოცანები
- კათედრების მუშაობის პრინციპები
- ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა
- შეფასების პრინციპები: მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისათვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისათვის და სხვ.)
- ინკლუზიური განათლება
- სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, მათ შორის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების / დონეებისა და საგნების მიხედვით
- სასკოლო საათობრივი ბადე

სასწავლო წელი იწყება 15 სექტემბერს და მთავრდება 15 ივნისს. სასწავლო წელი გრძელდება 34-35 კვირა. აკადემიური მოსწრების შუალედური შეფასებისთვის სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად, მას სემესტრებად ყოფს ზამთრის არდადეგები. პირველი და მეთორმეტე, მეორე და მეთერთმეტე კლასელთათვის სასწავლო წელი მთავრდება კანონმდებლობის შესაბამისად.

სკოლის მისიისა და პრიორიტეტების მისაღწევად სკოლაში I-III კლასების მოსწავლეებისათვის ფუნქციონირებს გახანგრძლივებული სწავლების წრე, რომლის მთავარი მიზანია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში მასწავლებლის დახმარებით დავალებების მომზადება, სასწავლო დღის რეჟიმი ამ მოსწავლეებისთვის გაიზარდა 90 წთ-ით, ხოლო პირველკლასელებისთვის - 70 წთ -ით. დაწყებით საფეხურზე ისწავლება ყველა სავალდებულო საგანი, ეროვნული სასწავლო გემის შესაბამისად, მხოლოდ განსხვავებული სქემით ისწავლება რუსული ენა, სწავლება იწყება მე- 4 კლასიდან კვირაში 2-2 საათი. სასწავლო პროგრამა განხილულია და დამტკიცებულია სკოლის პედსაბჭოს მიერ.

VII-XI კლასებში სასწავლო რეჟიმი მიმდინარეობს სასკოლო გეგმის შესაბამისად.

სკოლის ნორმატიული აქტების - დებულების და შინაგანაწესის თანახმად მოსწავლეთა რაოდენობა I-XII კლასებში არ უნდა აღემატებოდეს 10-ს. I –VI კლასში მოსწავლეთა რაოდენობაა 40 მოსწავლე.

შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიან სკოლაში „ ქიაჩი“ სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად ისწავლება ყველა სავალდებულო საგანი. X კლასში მოსწავლეებს სთავაზობენ „ ხაზვის “, ხოლო XI-XII კლასებში „ მსოფლიო ხელოვნება“ შესწავლას. XII კლასის მოსწავლეებს სკოლა სთავაზობს ზოგადი უნარების კურსს დამატებით სავალდებულო საგნის სტატუსით კვირაში 2-2 საათი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

(ზოგადი უნარების კურსი მოიცავს ვერბალურ და მათემატიკურ ნაწილს. პროგრამა დამტკიცებულია პედსაბჭოს მიერ).

სკოლა I-XII კლასის მოსწავლეებს სთავაზობს სპორტის შემდეგ სახეობებს: ჭადრაკი (I-III კლასი), ფეხბურთი, ფრენბურთი.

სკოლაში შემუშავებულია სადამრიგებლო პროგრამები, რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით და შეიცავს დამრიგებლის საათის პრიორიტეტულ მიმართულებებს.

დაწესებულების სასწავლო გეგმის თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის ყველა კომპონენტი გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

დასტურდება:

- შპს. არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის „ქიაჩი" სასკოლო სასწავლო გეგმით (დამტკიცებული 2017 წლის 30 ივნისის N 4 პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით)
- მასწავლებლებთან და მშობლებთან ინტერვიურებით;
- მასწავლებლებისა და დამრიგებლების პორტფოლიოებით;
- კათედრების ხელმძღვანელთა პორტფოლიოებით;
- სკოლის ვებგვერდით http://.www.qiachi. ge

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

შეფასება:

სკოლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები ერთიანდება 7 საგნობრივ ჯგუფში:

- ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა
- მათემატიკის კათედრა
- საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრა
- ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- უცხო ენის კათედრა
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა
- დაწყებითი საფეხურის კათედრა

საგნობრივი ჯგუფები, საგნობრივი კომპეტენციების მიხედვით, მოიცავს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით საგნებს. საგნობრივი ჯგუფები აერთიანებს მომიჯნავე დისციპლინებს. საგნობრივ ჯგუფებში შემავალი საგნები ისწავლება სავალდებულო და/ან არჩევითი სახით ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე. როგორც პორტფოლიოების შესწავლამ აჩვენა სკოლაში დაწყებუთი საფეხურის კათედრის მუშაობა ასახულია პორტფოლიოებში, რომელიც, მოიცავს: კათედრის წევრთა კვირეულ დატვირთვას; სილაბუსებს; თემატურ-კალენდარული გეგმებს; კათედრის საქმიანობის სტრატეგიულ გეგმას; ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების ჩამონათვალს; შეფასების რუბრიკებს; კათედრის წევრთა შეხვედრების გრაფიკს; კათედრების სხდომების ოქმებს; მოსწავლეთა განმსაზღვრელ-განმავითარებელი შეფასების ნიმუშებს; კათედრის თავმჯდომარის შეფასების სქემას; გაკვეთილის შეფასების ინდიკატორებს; ხოლო დანარჩენი კათედრის პორტფოლიოები ამ ეტაპზე მოიცავს, ინფორმაციას განაწილებული საათების შესახებ, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვლს, თემატურ გეგმებსა და სილაბუსებს, კათედრის სამოქმედო გეგმასა და კათედრის პირველი სხდომის ოქმს.

სკოლაში ფუნქციონირებს მონიტორინგის სისტემა. მონიტორინგი ხორციელდება სწავლისა და სწავლების, მომსახურების მიმართულებით. მონიტორინგს ახორციელებს სკოლის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირები: ადმინისტრაცია, კათედრის თავმჯდომარეები. სწავლის მონიტორინგი ითვალისწინებს ესგ და სასკოლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევის შეფასებას, ამ მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- სასწავლო პროცესის მეთოდურად დაგეგმვა
- მოსწავლეთა არასაპატიო გაცდენების პრევენცია
- უფროსკლასელთა საშინაო დავალებების შესრულების სისტემატიურობის კონტროლი
- დამატებითი გაკვეთილების ჩატარებისა და მოსწავლეთა დასწრების კონტროლი
- შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები და ანალიზი
- პრიორიტეტული მიმართულებების სასკოლო შეფასება
- სკოლის გარეთ ორგანიზებულ კონკურსებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა
- მოსწავლეთა სემესტრული და წლიური შედეგების (მოსწრების) ანალიზი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დაწესებულების სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს

დასტურდება:

- შპს. არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის „ქიაჩი" სასკოლო სასწავლო გეგმით (დამტკიცებული 2017 წლის 30 ივნისის N 4 პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით);
- მასწავლებლებისა და დამრიგებლების პორტფოლიოებით;
- კათედრების პორტფოლიოებით;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დოკუმენტებით.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

დირექციასთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების, პროგრამების და გეგმების შესწავლის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიას წარმოადგენს სწავლების პროცესში პიროვნების ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინება, შესაძლებლობებისა და ინტერესების მაქსიმალურად გამოვლენა და განვითარება, რაც მიიღწევა მოსწავლეებზე მორგებული მოდიფიცირებული სასწავლო გეგმითა და დამატებითი გაკვეთილის ორგანიზებით. იმ შემთხვევაში, თუ სხვა სკოლიდან გადმოსული მოსწავლის გასაუბრებისას, ან საპატიო მიზეზით მოსწავლის გაცდენებისას, გამოვლინდა მოსწავლის ცოდნისა და უნარჩვევების შეუსაბამობა სკოლის საგნობრივ სტანდარტებთან, საგნის მასწავლებელი ქმნის მოდიფიცირებულ სასწავლო გეგმას და ახორციელებს სწავლებას პრობლემის გადაჭრამდე. შეიძლება ითქვას, რომ სკოლის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს ნებისმიერი მიდრეკილების, შესაძლებლობის თუ ინტერესის მქონე ბავშვის მაქსიმალური ჩართვა სასწავლო პროცესში, პიროვნული, ფსიქო-ემოციური, სოციალური, ქცევითი თუ ინტელექტუალური თავისებურების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დაწესებულებამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების შესახებ ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმიდან, რომელშიც საუბარია სწავლისა და განვითარების თანაბარ შესაძლებლობებზე. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა, სკოლას შემუშავებული ისგ.

დასტურდება:

- მშობლებთან და მასწავლებლებთან ინტერვიურებით;
- ინკლუზიური პროგრამით;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

შეფასება:

დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების პრინციპები.

სასწავლო გეგმის მიხედვით მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე იყენებდნენ ეროვნულ სასწავლო გეგმის შესაბამისად განმავითარებელი შეფასების ტიპებს, ხოლო V-VI განმავითარებელ და გამსაზღვრელ შეფასებებს - სამ კომპონენტისთვის (საშინაო დავალება, საკლასო დავალება, შემაჯამებელი დავალება).

2017- 2018 სასწავლო წლისთვის I-VI კლასის მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასება განხორციელდება შემდეგი სქემით: I-IV კლასებში განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

2. V-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

3. V-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, კერძოდ:

- საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტები
- განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები
- ქულების გამოანგარიშების წესი
- კლასისა და საფეხურის დაძლევის ფორმები
- გაცდენების გავლენა მოსწავლის შეფასებაზე
- გამოცდების ტიპები
- მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება
- სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასებას, დასწრება/გაცდენები

დაწყებით საფეხურზე შეფასება ხორციელდება მხოლოდ განმავითარებელი შეფასების ფორმით, ხოლო IV კლასში სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეები ავსებენ თვითშეფასების კითხვარს, რომელშიც გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს მიღწეული შედეგების შესახებ კონკრეტულ საგანში.

შეფასების სისტემას წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აცნობენ კლასის კოორდინატორები და საგნის მასწავლებლები, ცალკეული საგნების შეფასების რუბრიკები გამოკრულია საკლასო ოთახებში და მასწავლებელი მოსწავლის შეფასებისას ეყრდნობა ამ სქემებს, შემაჯამებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ ხშირად გამოიყენება მოსწავლეთა თვითშეფასება, ყველა მასწავლებელი წლის ბოლოს თითოეული მოსწავლისათვის ქულასთან ერთად, წერს როგორც განმსაზღვრელ ისე განმავითარებელ შეფასებას.

დასტურდება:

- შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის „ქიაჩი“ სასკოლო სასწავლო გეგმით (დამტკიცებული 2017 წლის 30 ივნისის N 4 პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით);
- მშობლების ინფორმირების წესით;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზით;
- ინტერვიურებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

შეფასება:

მშობლებთან გასაუბრებამ და სკოლის სადამრიგებლო პროგრამების გაცნობამ დაგვანახა, რომ პედაგოგები, დამრიგებლები და ზოგადად, სკოლის საზოგადოება მჭიდროდ ურთიერთობს მშობლებთან. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სკოლის ცხოვრებაში და თავადაც იზიარებენ პასუხისმგებლობებს. კლასის საქმიანობის სამოქმედო გეგმა იქმნება მშობელთა მონაწილეობით და მტკიცდება სასწავლო წლის დასაწყისში კლასის მშობელთა კრებაზე. ამავე კრებაზე ათანხმებენ მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების გრაფიკს, განისაზღვრება შეხვედრებს შორის ურთიერთობის ფორმები. მშობლების ინფორმირებისათვის გამოყენებულია: მიმოწერის რვეულები, ელექტრონული შეტყობინებები, სატელეფონო საუბრები, სკოლის ვებ-გვერდი და სხვა. სასწავლო წლის ბოლოს ყველა დამრიგებელი მშობლებს საერთო კრებაზე წარუდგენს კლასის საქმიანობის ანგარიშს და ახდენს შეფასებას, მშობელთა მონაწილეობით განსაზღვრავს კლასის მომავალი საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს. ასევე, წლის განმავლობაში ეწყობა ინტერვიუები ცალკეულ მშობლებთან, ანკეტირება და გამოკითხვები.

დაწესებულების მართვაში, დაინტერესებული სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეთა მშობლები, დაწესებულების პედაგოგები, საზოგადოების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები) ჩართვის მიზნით, სკოლის დირექტორი წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, სულ ცოტა წელიწადში ერთხელ, იწვევს კონფერენციას და ისმენს გასული წლის მუშაობის ანგარიშს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს პარტნიორთა კრების, პედაგოგიური საბჭოს, ადმინისტრაციისა და დამფუძნებლების წინაშე.

დასტურდება:

- სადამრიგებლო პროგრამით;
- დამრიგებლის წლიური ანგარიშით;
- ინტერვიურებით;
- მშობელთა გამოკითხვის კითხვარებით;
- დამრიგებლების პორტფოლიოებით;
- სკოლის ვებგვერდით http://.www.qiachi. ge

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

შეფასება:

სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულნი არიან სკოლის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირები: ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ხარისხის მართვის მენეჯერი, კათედრის ხელმძღვანელები. მონიტორინგი ხორციელდება სწავლისა და სწავლების, მომსახურების მიმართულებით.

სწავლის მონიტორინგი ითვალისწინებს ესგ და სასკოლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევის შეფასებას. ამ მიზნით პერიოდულად ხორციელდება: უფროსკლასელთა საშინაო დავალებების შესრულების სისტემატურობის კონტროლი; დამატებითი გაკვეთილების ჩატარებისა და მოსწავლეთა დასწრების კონტროლი; შემაჯამებელი სამუშაოების შედეგების ანალიზი; პრიორიტეტული მიმართულებების სასკოლო შეფასება; მოსწავლეთა სემესტრული და წლიური შედეგების (მოსწრების) ანალიზი;

სწავლების მონიტორინგი ითვალისწინებს მასწავლებელთა კარიერული და პროფესიული ზრდისათვის ხელშეწყობას. ამ მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: კათედრების აქტიური მონაწილეობა სასკოლო გეგმის შეფასებასა და შემუშავებაში; პედაგოგსა და გაკვეთილზე დაკვირვება; პედაგოგის წარმატებული გამოცდილების გაზიარება; მეთოდური სახელმძღვანელოებით და დამხმარე რესურსებით პედაგოგთა უზრუნველყოფა; სკოლის შიგნით და სკოლის გარეთ პროფესიული განვითარების პროგრამებში (სემინარები, კონფერენციები, ტრენინგები) პედაგოგთა მონაწილეობის უზრუნველყოფა

მონიტორინგის ჯგუფი ახორციელებს ასევე **მომსახურების მონიტორინგს,** რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პერიოდულ გამოკითხვას, მონიტორინგის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შეჯამებას და ანალიზს, შეფასებას და რეკომენდაციების შემუშავებას ახალი სასკოლო გეგმისათვის.

სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგიური საბჭო ისმენს და განიხილავს გასული სასწავლო წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიშს, ის უფლებამოსილია დააყენოს დამფუძნებლების წინაშე სასკოლო გეგმაში ცვლილებების საკითხი; ამავე მიზნით გამოიყენება სასკოლო საზოგადოების ანონიმური გამოკითხვა და საატესტატო გამოცდებისა და სასკოლო შეფასების შედეგების დეტალური ანალიზი და შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- ინტერვიურებით;
- მონიტორინგის სისტემით;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმით;
- კალენდარულ/თემატური ერთეულის გეგმებით ;
- დირექტორის მოადგილეების, კათედრების გამგეების, საგნის მასწავლებლების ანგარიშებით
- პედაგ. საბჭოს სხდომების ოქმებით (დაწყებითი საფეხური);
- გამოკითხვის შედეგებით;
- სასკოლო შეფასებისა და საატესტატო გამოცდების შედეგებით და მათი ანალიზით.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი

შეფასება: შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ქიაჩი“ ფუნქციონირებს ქ. წალენჯიხაში, ჭურღულიას ქ. N 3 მდებარე ორსართულიან შენობაში, შენობის მესაკუთრეა ვარო კვარაცხელია(პ/ნ 51001014117), რომელმაც უვადოდ თხოვების ხელშეკრულებით (25/11/2016) სკოლას გადასცა 446 კვ. მ შენობა და მიწის 1284 კვ. მ მიწის ნაკვეთი.

პირველ სართულზე განთავსებულია : ვესტიბული, საპირფარეშო, რვა საკლასო ოთახი, კვების ბლოკი მეორე სართულზე კი მდებარეობს ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, სამედიცინო ოთახი, 6 საკლასო ითახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერების კაბინეტი, გეოგრაფიის კაბინეტი და კომპიუტერული ლაბორატორია.

დაწესებულების საერთ ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით

№	მისამართი	კვ.მ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

1	ქ. წალენჯიხა, ჭურღულიას 1. 3	446 კვ.მ საერთო ფართით სკოლის შენობა და მიწის ნაკვეთ 1284 კვ. მ

დასტურდება

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან:
- შენობის ტექნიკური ნახაზით;
- თხოვების ხელშეკრულებით

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

შეფასება:

შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლაში „ქიაჩი“ არის 14 საკლასო ოთახი, სადაც განთავსებულია 189 ერთადგილიანი მერხი და სკამი, ამის გარდა საკლასო ოთახები აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, საკამებით, დაფებით. ასევე სასწავლო პროცესის დამხმარე თვალსაჩინოებებით დამხმარე ცხრილებით. ბიბლიოთეკა, დირექტორის კაბინეტი, კომპიუტერების კლასი 8 კომპიუტერით, 2 კომპიუტერი განთავსებულისა სამასწავლებლოსა და დირექტორის კაბინეტში. სკოლას აქვს 1 ლეპტოპი., 2 კომბაინი. სულ მოსწავლეთათვის განკუთვნილია 9 კომპიუტერი.

ორი სველი წერტილი განთავსებულია მეორე სართულზე, სოლო პირველ სართულზე განთავსებულია სველი წერტილი სსსმ მოსწავლეებისთვის.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით
- ნასყიდობის ხელშეკრულებებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან;
- ჩუქების ხელშეკრულებებით
- ნასყიდობის ხელშეკრულებით ი.მ. ნიკა ხაბულიანთან
- საინვენტარო აღწერილობით
- მიღება- ჩაბარების აქტებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- სასაქონლო ზედნადებებით

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

შეფასება:
სკოლაში „ ქიაჩი“ სპორტის არჩეული სახეობებია ჭადრაკი, ფეხბურთი და ფრენბურთი. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება „წალენჯიხის სპორტკომპლექსთან“ დარბაზით სარგებლობის შესახებ, სკოლის ეზოში არის ღია მოედანი , ბუნებრივი საფარით.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით
- სასაქონლო ზედნადებებით
- ნასყიდობის ხელშეკრულებებით
- ხელშეკრულებით „წალენჯიხის სპორტკომპლექსთან“

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

შეფასება:
შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლას „ქიაჩი“ აქვს შპს „ინსტა-ჯორჯიასგან“ შეძენილი ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების კომპლექტი, რომელიც საჭიროებისამებრ ივსება შესაბამისი მასალით და რეაქტივებით. ლაბორატორია განთავსებულია ცალკე საკლასო ოთახში, რომელსაც აქვს ფანჯარა და შესაძლებლია განიავება. ლაბორატორიაში არის სველი წერტილი. შემუშავებულია ლაბორატორიის გამოყენების წესი (დებულება)

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით
- ნასყიდობის ხელშეკრულებით
- დირექტორთან გასაუბრებით
- შესყიდვის დოკუმენტაციით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:
სკოლაში არის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებლი გარემო , გათბობა ხორცილედება ცენტრალიზებულად (საწვავად იყენებენ თხილის ნაჭუჭს) და დამატებით შეშის ღუმელებით. საკლასო ოთახები უზრულველყოფილია ბუნებრივი განათებით, ელექტროერგიას სკოლა იღებს ენერგო-პროჯორჯიასაგან, ხოლო წყალი მიეწოდება შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისაგან"

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით
- გადახდის ქვითრებით
- შენობის ტექნიკური პასპორტით

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

შეფასება:
შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლას „ქიაჩი" აქვს ბიბლიოთეკა. ჰყავს ბიბკიოთეკარი, ამავე სივრცეშია სამკითხველო დარბაზი, სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია ეროვნული სასწავლო გეგმით და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სახელმძღვანელოები, დამატებითი ლიტერატურა ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისად. საინვენტარიზაციო ჩამონათვალის მიხედვით ბიბლიოთეკა მოიცავს 480 ერთეულ მხატრულ ლიტერატურას და 196 ეგზემპლიარ სახელმძღვანელოს.

შემუშავებულია ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმა და ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. გამოკრულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი და სარგებლობის წესები. სკოლას ასევე გააჩნია ბიბლიოთეკის კატალოგის ელექტრონნული ვერსია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით
- ბიბლიოთეკის საინვენტარიზაციო წიგნით;
- მკითხველთა ფორმულიარებით;
- ნაჩუქრობის ხელშეკრულებით.

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:
სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. სკოლას დამზადებული აქვს მოძრავი პანდუსი. სკოლის პირველ სართულზე არის ადაპტირებული 1 სველი წერტილი სსსმ მოსწავლისათვის.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით
- ხელშეკრულებით პანდუსის დამზადების შესახებ

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

შეფასება:
სკოლას აქვს კომპიუტერული კაბინეტი, რომელშიც განთავსებულია ინტერნეტქსელში ჩართული 8 კომპიუტერი და 1 ნოუთბუქი. ხელშეკრულება ინტერნეტის მოწოდებასთან დაკავშირებით გაფორმებულია კომპანია ს.ს. „სილქნეტთან". სკოლის ვებ-გვერდია: www.qiachi.ge, სადაც იძებნება ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ისტორია, შინაგანაწესი, სკოლის სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმები, სასწავლო გეგმები, სასწავლო წლის კალენდარი, მიღების წესები, ელექტრონული ჟურნალი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დასტურდება:

- კომპიუტერების ფლობის დოკუმენტაციით;
- პროვაიდერებთან გაფორმებილი ხელშეკრულებებით;
- დაწესებულების ვებ - გვერდით;
- ვიზულური დათვალიერებით.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ე)კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც სკოლას შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

შეფასება:

შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის „ქიაჩი“ ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომლებიც დამოწმებულია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სააგენტოს მიერ და განთავსებულია ცეცხლმაქრები (3 ერთეული). შექმნილია საგანგებო შტაბი და ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. შემუშავებულია, ასევე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სამედიცინო დახმარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი, რომელიც დამტკიცებულია შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის „ქიაჩი" დირექტორის მიერ.
სკოლაში არის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო ოთახი, რომელშიც განთავსებულია სამედიცინო ტახტი, კარადა და ექიმის მაგიდა. სკოლას ჰყავს მედდა, შემუშვებულია სამედიცინო დახმარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი, რომელიც დამტკიცებულია შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის „ქიაჩი"დირექტორის მიერ. ექიმის კაბინეტთან და შენობის სხვადასხვა ადგილას გამოკრულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.
სკოლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში იგეგმება მასწავლებლთა მორიგეობა, რომლებიც თვალყურს ადევნებენ მოსწავლეთა ქცევას სკოლის შენობაში და ეზოში.
სკოლის შენობას აქვს 2 შემოსასვლელი, ძირითად შემოსავლელს გარე კამერა აკონტროლებს, შენობის შიგნით დამონტაჟებული 2 კამერა ერთი აკონტროლებს პირველ სართულს, მეორე - მეორე სართულს. კამერების გამოსახულების ჩაწერა ხდება საქმის მწარმოებლის კომპიუტერზე, კამერები შეესაბამება დადგენილ ნორმებს.

დასტურდება:

- სამედიცინო დაკვირვების ჟურნალით;
- კამერების ფლობის დოკუმენტაციით;
- უსაფრთხოების წესებით;
- ინტრვიუირებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

შეფასება:

შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლას „ქიაჩი" შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი, დებულება, სტრუქტურული ერთეულების დებულებები.

შინაგანაწესში მოცემულია სასწავლებლის მიზნები, ამოცანები, მართვის პრინციპები, სასწავლებლის პროგრამები და სტრუქტურა, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები შრომითი ურთიერთობის წარმოშობა და პირობები, დასაქმებულთა და მოსწავლეთა ჩაცმულობის წესი, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, წახალისების ფორმები, დისციპლინური პასუხისმგებლობა, მასწავლებელთა ვალდებულებები, მოსწავლის სასწავლებელში ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობები, ასევე, შინაგანაწესით რეგულირდება სიცოცხლის, ჯანმრთელობის, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები და სკოლას და მოსწავლეთა მშობლებს (ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს) შორის ურთიერთობათა პირობები;

შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის „ქიაჩი" დებულებით რეგულირდება სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები.

სკოლაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული შინაგანაწესი და მოსწავლეთა ქცევის კოდექსი

დასტურდება:

- შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის „ქიაჩი" წესდებით;
- შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის „ქიაჩი" შინაგანაწესით
- შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის „ქიაჩი" დებულებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის „ქიაჩი" SWOT ანალიზის შედეგად დაწესებულებამ გამოავლინა მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლებიც დაწესებულების მატერიალურ რესურსებსაც ეხება. ძლიერ მხარედ დაწესებულებამ ჩათვალა, ის, რომ სკოლაში არსებობს:

- სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (კომპიუტერულ ლაბორატორია; ბიბლიოთეკები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები და ა.შ);
- სკოლის საკუთრებაში არსებული შენობა;
- სკოლის მზაობა მართვის ინოვაციური და თანამედროვე მიდგომების დანერგვისთვის;
- სასწავლო გარემოს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა;
- უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, სკოლის ვიდეო-კამერებით უზრუნველყოფა;

სუსტ მხარედ მოხსენიებულია, ის, რომ სკოლაში არ არსებობს თითოეული საგნის მიხედვით საგნობრივი კაბინეტები. არ არის ლინგაფონის (აუდიო) კაბინეტი, რომელიც გაძლიერებული უცხოური ენების სწავლების პირობებში აუცილებელია დაწესებულებისთვის. არ არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამწოვი კარადა. დაწესებულებამ ვერ მოახერხა თანამედროვე სტარდატების შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის (კვამლზე, სიმხურვალეზე და ა.შ სიგნალიზაციის არარსებობა) შექმნა. სუსტი მხარეა, ასევე, ის, რომ დაწესებულებას არ აქვს საკუთარი საშუალებები მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის და ა.შ.

აღნიშნული SWOT ანალიზის გათვალისწინებით სკოლის მიერ შემუშავდა ახალი გრძელვადიანი 6 წლიანი (2017- 2023) განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის „ქიაჩი" დირექტორის მიერ.

გრძელვადიან გეგმაში აღწერილია განსახორციელებელი ამოცანები და განხორციელების გზები.

დაწესებულების მიერ შემუშავებულია 2017-2018 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო სტრატეგიული გეგმაც, რომელიც სკოლის განვითარების ექვსწლიანი სამოქმედო გეგმის მიზნებიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. მათ შორის ერთწლიან გეგმაში ასახულია სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის გზებიც და კერძოდ: ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნისთვის განსახორციელები ღონისძიებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სასწავლო გეგმები დამტკიცებულია შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის „ქიაჩი"" დირექტორის მიერ.

დასტურდება:

- შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის „ქიაჩიის" SWOT-ანალიზით
- შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის „ქიაჩი" 2017-2023 წლების ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმით
- შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის „ქიაჩი" 2017-2018 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმით

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:

სკოლაში შემუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესი. სკოლის საქმეთა მმართველი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება, პასუხისმგებელია შემოსული და გასული კორესპონდენციების აღრიცხვის, დოკუმენტაციის, ბრძანების წიგნების, მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის რვეულის, ანბანური წიგნისა და დასაქმებულთა პირადი საქმეების წარმოებაზე.

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. რომლის მიხედვითაც იწარმოება შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი, საერთო და მოსწავლეთა ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, მოსწავლეთა ანბანური წიგნი, პედაგოგთა, ტექნიკური პერსონალის პირადი საქმეები, ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭედითა და დირექტორატის ხელმოწერებით.

დასტურდება:

- შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის „ქიაჩი" საქმისწარმოების ერთიანი წესით;
- შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის „ქიაჩის" საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალით;
- საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალით.
- მოსწავლეთა ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალით;
- შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

- გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალით;
- შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალით;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალით;
- სხვა სახის ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალით;
- ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალით მოსწავლეთათვის;
- ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალით მასწავლებელთათვის და სხვა თანამშრომელთათვის
- შპს არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლის „ქიაჩი" დირექციასა და მოსწავლეთა მშობლებს შორის 2017-2018 სასწავლო წლისათვის დადებული ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალით;
- პირადი საქმეებით.

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

შეფასება:

სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი, სულ 29 თანამშრომელი - აქედან 24 პედაგოგია, 4 ადმინისტრაციის თანამშრომელია (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერს შეთავსებული აქვს საქმისწარმოება, სკოლის ბიბლიოთეკის დირექტორი, საინფორმაციო მენეჯერი) 3 ტექნიკური პერსონლი (2 დამლაგებელი და 1 დარაჯი) და ექთანი.

შინაგანაწესში გაწერილია დასაქმებულთა ფუნქცია–ვალდებულებები. სკოლის პედაგოგიური საბჭო არის სკოლის თვითმმართველობის ორგანო, რომელშიც შედის ყველა პედაგოგი.

დასტურდება:

- დამტკიცებული საშტატო განრიგით;
- თანამშრომელთა პირადი საქმეებით;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

შეფასება:
სქემაში ჩართულია სკოლის 23 -ვე მასწავლებლი, 6 უფროსი მასწავლებლი (მათგან 4-ს: ევა ეფსიას სერთიფიკათი აქვს ორ საგანში: სამოქალაქო განათლებასა და ისტორიაში, მარინე ადონიას ისტორიასა და ხელოვნებაში,ნინო ეფსიას მოპოვებული აქვს მასწავლებლის უფლება გეოგრაფიასა და ბუნებისმეტყველებაში. ასევე ჩაბარებული აქვს ინგლისურისა და კომპიუტერის საბაზო უნარები. სკოლის ადამიანური რესურსი შესაბამისია და საკმარისია სასკოლო გემოს მიხედვით სასწავლო პროცესის წასამართავად.

დასტურდება:
- შრომითი ხელშეკრულებებით
- მასწავლებლების პირადი საქმეებით

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

შეფასება:
სკოლის შინაგანაწესის N 6 მუხლის თანახმად შემუშავებულია თანამშრომელთა მიღებისა და დათხოვნის წესი:
დაწესებულებაში თანამშრომელთა მიღება ხორციელდება ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგად. განცხადება კონკურსის შესახებ თავსდება www.vakansia.ge -ზე, ან სხვა საინფორმაციო ვებ-გვერდზე. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად: 1) აპლიკანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების რევიზია და კანდიდატთა განსაზღვრა, 2) კანდიდატებთან დადგენილი კითხვარის მიხედვით გასაუბრება.
ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები პირი ვალდებულია ადმინისტრაციას წარუდგინოს:
- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ნოტარიალურად დამოწმებული ასლები;
- პერსონალური ინფორმაცია (კადრების აღრიცხვის ფურცელი);
- ორი ფოტოსურათი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- ჯანმრთელობის ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ მისაღებ პირს არა აქვს უკუჩვენება სასწავლო დაწესებულებაში მუშაობისათვის;
- პირადობის მოწმობის ასლი

თანამშრომელთა წარმატებული საქმიანობისა და მოსწავლეთა მაღალი შედეგების აღიარებისათვის სკოლაში მოქმედებს წახალისების სისტემა, რომელიც გულისხმობს: საჯაროდ მადლობის გამოცხადებას, დიპლომს ან ქების სიგელს, ფასიან საჩუქარს, ფულად ჯილდოს ან პრემიას, ხელფასის გაზრდას.

ხელფასის გაზრდა ემყარება თანამშრომელთა სასკოლო ატესტაციის შედეგებს.

სკოლაში შემუშავებულია ასევე ადმინისტრაციული სასჯელები, რომლებიც ითვალისწინებს: გაფრთხილებას, საყვედურს, სასტიკი საყვედურს და სამსახურიდან გათავისუფლებას.

თანამშრომელს ადმინისტრაციულ სასჯელს ადებს დირექტორი. სკოლის მიერ წარმოდგენილ შინაგანაწესში შესულია ცვლილებები.

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესით
- მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით
- სკოლაში თანამშრომელთა მიღების წესით
- სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუირებით

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

შეფასება:

ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც აღწერილია ხელშეკრულების ვადები, სამუშაოს აღწერილობა, უფლება-მოვალეობები, ანაზღაურება და დამოწმებულია მხარეების ხელმოწერებითა და სკოლის ბეჭდით. პედაგოგებთან , რომლებიც სამ წელზე მეტია მუშაობენ სკოლაში (კერძოდ, დაწყებითი განათლების მასწავლებლები)ხელშეკრულებების ვადა იწურება 2018 წლის 1 სექტემბერს და იგეგმება მათთან თანამშრომლობის გაგრძელება. სკოლას შემუშავებული აქვს ახალი ხელშეკრულებების ფორმები და მიღებული აქვთ თანხმობა ყველა პედაგოგისგან.

თითოეული თანამშრომლის პირად საქმეში ინახება ავტობიოგრაფია, აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, სერტიფიკატები, პირადი მოწმობის ასლები, დანიშვნის, გადაყვანის, წახალისების, დისციპლინური სახდელების ან გათავისუფლების შესახებ ბრძანებათა ასლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად ინახება დანიშვნის, გადაყვანის, წახალისების, დისციპლინური სახდელების ბრძანებათა ასლები.

დასტურდება:

- თანამშრომელთა პირადი საქმეებით
- შინაგანაწესით
- შრომითი ხელშეკრულებებით

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

შეფასება:

სკოლაში განვითარებულია თანამშრომლობითი კულტურა. მასწავლებლებთან, კათედრის ხელმძღვანელებთან გასაუბრებამ და კათედრების დოკუმენტაციის გაცნობამ აჩვენა, რომ ერთი კათედრის და სხვადახვა კათედრის წევრები ერთად გეგმავენ სასწავლო პროცესს, შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს, სისტემატიურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლების ინფორმირებას სხვადასხვა ტრენინგების შესახებ და ხელს უწყობს მათ ჩართულობას ამ პროცესში. სხვადასხვა პერიოდში მასწავლებლებს გავლილი აქვთ შემდეგი ტრენინგები:

„მასწავლებლის პროფესიული საქაღალდე მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ფარგლებში" - საგამნანათლებლო ორგანიზაცია „კინგსი"

სკოლა ჩართულია მასწავლებელთა პროფესიაში შესვლის, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში და შესაბამისად, შიდა შეფასების ჯგუფის წევრებს, ფასილიტატორებს გავლილი აქვთ ამ პროგრამის ფარგლებში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები: - მასწავლებელთა პროფესიული საქაღალდის შეფასება; სამოდელო გაკვეთილების ტიპები და შეფასება; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა დ.ა.შ.

დასტურდება:

- მასწავლებელთა სერთიფიკატებით
- მასწავლებლებთან ინტერვიუირებით
- კათედრის თავიმჯდომარის პორტფოლიოებით
- მასწავლებელთა პირადი საქმეებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- მასწავლებელთა პორტფოლიოებით.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

შეფასება:

პედაგოგებთან, მშობლებთან, დირექციასთან, მოსწავლეებთან გასაუბრების, შინაგანაწესის და სკოლის წესდების, სტრატეგიული გეგმების და სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ზრუნავს დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შესაქმნელად.

დაწესებულების მართვაში, დაინტერესებული სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეთა მშობლები, დაწესებულების პედაგოგები, საზოგადოების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები) ჩართვის მიზნით, სკოლის დირექტორი წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, სულ ცოტა წელიწადში ერთხელ, იწვევს კონფერენციას და ისმენს გასული წლის მუშაობის ანგარიშს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს პარტნიორთა კრების, პედაგოგიური საბჭოს, ადმინისტრაციისა და დამფუძნებლების წინაშე.

სკოლაში დამკვიდრებული კულტურა, წარმატებების აღიარების მექანიზმები ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოვლენასა. სკოლაში იგრძნობა თანამშრომლობის ატმოსფერო.

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესით
- თანამდებობრივი ინსტრუქციებით
- სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუირებით
- სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუირებით
- მშობლებთან ინტერვიუირებით
- მოსწავლეებთან ინტერვიუირებით
- სკოლის ვიზუალური დათვალიერებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

IV. თანდართული დოკუმენტაცია

25 აგვისტო, 2017 წელი

ქ. წალენჯიხა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.